პროექტი

# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ ნოემბერი _____ 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია
/ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 07 აგვისტოს №5/41856 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის ------ ნოემბრის ---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

**მუხლი 1.** გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის უვადოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.01.22.795; ფართობი: 5 000კვ.მ).

**მუხლი 2.** შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, თუ აღნიშნული უძრავი ქონება სარგებლობაში არ გადაეცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას, სახელმწიფოსაგან უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე; საკადასტრო კოდი №03.01.22.795; ფართობი - 5 000კვ.მ) დაბრუნების მოთხოვნით.

**მუხლი 3.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

**მუხლი 4.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 6.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი

# განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია
/ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს მომართა N5/41856; 07.08.2025წ.) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ" რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, (ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე; საკადასტრო კოდი №03.01.22.795; ფართობი - 5 000კვ.მ) სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის №791 დადგენილების შესაბამისად, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის უვადოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

ქალაქ ქუთაისის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში (ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე; საკადასტრო კოდი №03.01.22.795; ფართობი - 5 000კვ.მ), შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის უვადოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, თუ აღნიშნული უძრავი ქონება სარგებლობაში არ გადაეცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას, სახელმწიფოსაგან უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე; საკადასტრო კოდი №03.01.22.795; ფართობი - 5 000კვ.მ) დაბრუნების მოთხოვნით.

საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 108-ე მუხლის (**მუხლი 108** – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის ან/და ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა) პირველი პუნქტის შესაბამისად - „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობით ან მათ გარეშე), აგრეთვე წილები/აქციები (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, ავტონომიურ რესპუბლიკას - ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ხოლო თბილისის შემთხვევაში - თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით". ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ამავე პუნქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნაზე დასაბუთებულ დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

განკარგულების პროექტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი